დადგენილება:**დ-31. 3126268001**
თარიღი:**25/09/2026**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №30

2026 წლის 25 სექტემბერი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების (სსმ ვებგვერდი matsne.gov.ge, 14/08/2026 წელი, სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.112.016601) 1-ლი მუხლით დამტკიცებულ დანართში ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში“ შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

1. დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღემდე შეუსრულდა ან კენჭისყრის დღეს უსრულდება 25 წელი და საქართველოში უცხოვრია 6 თვე მაინც.“

2. დანართის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა.ვ) საკუთარი უფლებამოსილების დელეგირებას ახორციელეს მერიის თანამდებობის პირებისათვის, სხვა საჯარო მოსამსახურეებისა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისათვის, რაზეც გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს – მერის ბრძანებას. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“-ა.გ“, „ბ.ა“ – „ბ.გ“, „დ.კ“, „ე.ვ“ და „ე.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები და ასევე მერის ის უფლებამოსილებები, რომლებიც კანონის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებას ან თანხმობის მიცემას საჭიროებს არ შეიძლება გადაეცეს მერიის თანამდებობის პირებს, სხვა საჯარო მოსამსახურეებსა ან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს.“

3. დანართის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მერიის სამსახურებია:

ა) ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ინსპექტირების სამსახური;

გ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

დ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური;

ე) განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური;

ვ) შიდა აუდიტის სამსახური;

ზ) ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური;

თ) შესყიდვების სამსახური.“

4. ამოღებულ იქნეს დანართის მე-14 მუხლი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი